ჩვენი გიმნაზია

სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ყოველთვიური გაზეთი №2 თებერვალი 2014 წ.

გაზეთი გამოდის გიმნაზიის დირექტორის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იეგუდიელის ლოცვა-კურთხევით.

მირქმა — უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

მირქმა

მოსეს რჯულის თანახმად დაბადებიდან მეორმოცე დღეს, მშობლებს თავიანთი პირველშობილი შვილი ტაძარში უნდა მიეყვანათ. ამასთან შესაწირიც უნდა მიერთმიათ უფლისათვის, მდიდარს – მდიდრული, ღარიბებს კი ორი გვრიტი, ან ორი ხუნდი მტრედისა.

შობიდან მეორმოცე დღეს, მარიამმა და იოსებმა იერუსალიმში წაიყვანეს იესო. ცხოვრობდა იერუსალიმში ვინმე სვიმონი, კაცი მართალი და ღვთისმოსავი. მას ნაუწყები ჰქონდა სული წმინდის მიერ, რომ არ იხილავდა სიკვდილს, ვიდრე არ იხილავდა ქრისტეს (ცხებულს) უფლისას. იგი სული წმიდით აღძრული, სწორედ მაშინ მივიდა ტაძარში, როცა იქ იმყოფებოდა იესო მშობლებთან ერთად, სვიმონმა ხელში აიყვანა (მიირქვა) ყრმა მაცხოვარი, აკურთხა ღმერთი და სთქვა: „აწ განუტევე მონაი შენი, მეუფეო, სიტყვისაებრ შენისა, მშვიდობით, რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვრებაი შენი, რომელ განუმზადე პირსა ყოვლისა ერისასა, ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაელისა.“

იოსები და მარიამი განვციფრებულები უსმენდნენ უცნობ მოხუცს. სვიმონმა ისინიც დალოცა.

როცა უფლის წესისამებრ აღასრულეს ყველაფერი, ოჯახი ნაზარეთში დაბრუნდა.

მარხვის სამზადისი

მარხვა შინ დაბრუნების ჟამია

წელიწადში დაწესებულია ოთხი ხანგრძლივი მარხვა, რომელიც წინ უძღვის ოთხ დიდ ღღესასწაულს.

დიდი წმიდა მარხვა — ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის წინ.

საშობაო მარხვა — ქრისტეს შობის წინ.

გ) მარიამობის მარხვა — ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების წინ.

დ) პეტრე-პავლობის მარხვა — მოციქულთა თავთა — წმინდა პეტრესა და წმინდა პავლეს ღღესასწაულის წინ.

დიდი წმიდა მარხვა ამათგან ყველაზე ხანგრძლივი და საპასუხისმგებლოა. იგი აღდგომის წინ 49 ღღით ადრე იწყება და აღდგომის ღღესასწაულამდე გრძელდება.

მარხვის დროს შესაძლებლობა გვეძლევა ოდნავ მაინც მივუახლოვდეთ იმ დაუსრულებელ სიხარულს, სასუფეველი რომ ჰქვია. თუმცა ეს სიხარული იოლად არ მოიპოვება. მარხვა ღვაწლია, რომელიც სურვილთა დათმენითა და ვნებებზე გამარჯვებით აღესრულება. პირველი ნაბიჯი კი სხეულის მოუძლურებაა — ხორცზე გამარჯვება და სულიერი ზეიმი.

აღდგომის ღღესასწაულის მოსამზადებელი პერიოდი სრულად მოიცავს დიდ მარხვას, რომლის დადგომისას მორწმუნენი ხშირად ვუსურვებთ ერთმანეთს: „მარხვა სინანულისა და აღდგომა სიხარულისა!“ აღდგომის ღღესასწაულის განცდა მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სულიერი განწყობით, მარხვით, ლოცვითა და სინანულით გაატარებს ქრისტიანი დიდ მარხვას.

სულიერ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მარხვას დიდი მნიშვნელობა აქვს. ადამიანი ღვთისმსახურების წესს იმისათვის არ ასრულებს, რომ ამას უფალი მოითხოვს; მარხვა, ლოცვა, მოწყალების გაღება, სიკეთის ქმნა თვითონ ჩვენ გვჭირდება პიროვნული, სულიერი ზრდისა და სრულყოფისათვის. მარხვაც სწორედ ამას ემსახურება. მისი ერთ-ერთი მიზანია ნებისყოფის განმტკიცება, თავისუფალი ნების გაძლიერება სასიკეთო მიმართულებით. ადამიანის სხვა ცოცხალ არსებათაგან ერთ-ერთი განმასხვავებელი თვისებაა ნებისყოფა, თავისუფალი ნების გამოვლინება. იგი არ არის თავისი ინსტინქტების, იმპულსების მონა. მას ძალუძს, შეეწინააღმდეგოს თავის სურვილებსა და მოთხოვნილებებს. აიძულოს თავი, აკეთოს არა ის, რაც სურს, არამედ ის, რაც მიზანშეწონილია. მარხვა, ერთი მხრივ, თავადვე ნებისყოფის დაძაბვის შედეგია, მეორე მხრივ, თავშეკავების უნარის, ნებისყოფის გამომუშავებას უწყობს ხელს, რაც შემდგომში სხვა სირთულეთა და განსაცდელთა დაძლევაში გვეხმარება.

მართლმადიდებლური სწავლებით ორი სახის მარხვა არსებობს: ფიზიკური და სულიერი.

სულიერი მარხვა გულისხმობს თავის შეკავებას სანახაობათაგან, ფუჭი, არაგულწრფელი საუბრებისაგან, ყოველივე იმისაგან, რაც ადამიანის მგრძნობელობას აღაგზნებს და გონებას ფანტავს. იდეალურ შემთხვევაში მარხვა განმარტოებასა და მდუმარებას, საკუთარ ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ჩაფიქრებას გულისხმობს. მარხვის დაცვა დიდი ხელოვნებაა და ადამიანი თანდათანობით სწავლობს მას.

მარხვის დამაგვირგვინებელია ვნების კვირა. ეს კვირა მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამ დროს მორწმუნენი რეალურად განიცდიან იმ მოვლენებს, რაც უფლის ჯვარცმისას ხდებოდა. ვნების კვირა მორწმუნემ

შეძლებისდაგვარად ეკლესიაში უნდა გაატაროს. უამისოდ მას ძალიან გაუჭირდება ვნების კვირის კონცენტრირებული გავლა, სულიერი სიმაღლეების მიღწევა.

ქრისტიანული დღესასწაულების მადლმოსილება და სიდიადე რომ შევიგრძნოთ, მარხვის დაცვა აუცილებელია. უფალთან ერთობაში ყოფნის მაძიებელთ ღმერთმა მარხვა დაუბრკოლებლად წარგვამართვინოს.

არქიმანდრიტი ნიკოლოზ ღლონტი

წმიდა იოსებ მოხევე (სუჯაშვილი)

მოხევეები — „კაცნი მბრძოლნი, ძლიერნი, ახოვანნი, ჰაეროვანნი“, ყოველთვის გამოირჩეოდნენ სარწმუნოებრივი შემართებით, აქაური ეკლესია-მონასტრები გვაცვიფრებენ თავიანთი სილამაზითა და მიუწ–ვდომლობით. იქ თითქოს საგანგებოდ აშენებდნენ ეკლესიებს ისეთ ადგილებში, სადაც მისვლაც კი უკვე აღმსარებლობას უტოლდებოდა.

ჩვენი წინაპრების მაღალი სულიერების დადასტურებაა მყინვარწვერის კალთაზე მდებარე მეუდაბნოე განდეგილ მამათა სამოღვაწეო — ბეთლემის სამონასტრო კომპლექსი და გერგეტის ყოვლადწმიდა სამების ტაძარი.

არსებობს უწყება, რომ ბეთლემის გამოქვაბულში მოსეს კარავი და მაცხოვრის აკვანი იხილებოდა. იქ წმიდა და ღმერთშემოსილი მამები V-VI საუკუნიდან აღასრულებდნენ ბერულ ღვაწლს. ბეთლემი მსოფლიოში არსებულ მართლმადიდებლურ ტაძართა შორის (ზღვის დონიდან 4100 მ) ყველაზე მაღალ ადგილას მდებარეობს.

ხევის მშვენებასა და სიმბოლოს წარმოადგენს „მარადის ყინულით შეეერცხლილი“ მყინვარი, რომლის კალთებზე არის აშენებული სამების მონასტერი, „შუენიერ ნაშენი შუენიერს ადგილას“, სადაც ერთ დროს წმიდა ნინოს ჯვარი ინახებოდა.

გერგეტის ყოვლადწმიდა სამების ტაძარი XIV საუკუნის ძეგლია. ჩვენი ერის სულიერ ცხოვრებაში სამების ტაძარს ყოველთვის გან–საკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. საუკუნეების განმავლობაში ხევის ისტორიაში თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა მასთან იყო დაკავშირებული. იქ, სადაც ხევის წარსულზეა ლაპარაკი, სამება ყოველთვის წინა ხაზზეა წამოწეული, როგორც „სიმდიდრე და სიამაყე მოხევე ხალხისა და სრულიად საქართველოსი“.

წმინდა სამების ტაძარს აშენების დღიდან უვლიდნენ და პატრო–ნობდნენ გერგეტელები. სამების ტაძარში ღვთისმსახურებას ეწეოდნენ და მღვდლებად მსახურობდნენ უმტესად სუჯაშვილების გვარის წარ–მომადგენლები.

წმიდა იოსებ მოხევეს (სუჯაშვილის) შესახებ ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება.

ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდში დაცული ფოლკლორული მასალების ანალიზის სა–ფუძველზე და იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ აღწერილი ამბავი მღვდელი იოსებ მოხევეს (სუჯაშვილის) შესახებ ადასტურებს, რომ იოსებ მოხევე იყო სოფელ გერგეტის მკვიდრი გვარად სუჯაშვილი. იგი მოღვაწეობდა გერგეტის წმიდა სამების ტაძარში. ასევე ღვთისმსახურებას ეწეოდა ბეთლემის გამოქვაბულში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (ერეკლე II-ის მეფობის პერიოდში).

იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში“ წერს, რომ: „იოსებ მოხევე, მღვდელი, ესე იყო ფრიად სიწმინდის მოყვარე და მემარხულე, რომელ ყოველგან განითქვა სათნოება ამისი.

ესე ნებითა ღვთისათა აღვიდა მყინვარის მთასა შინა, კაცთაგან შეუვალსა; და იხილა მუნ კარავი და აკვანი აბრაამისა მამამთავრისა, რომელ ჯერეთცა არვინ აღსრულარს მთასა მას, და მოართო მეფესა ირაკლის ნაჭერი კარავისა მის.

და ესეცა მიიწია საზომსა სასწაულთ-მოქმედებისასა და ესრეთ უფლისად დაიძინა“. აღესრულა 1763 წელს.

ბეთლემის სამონასტრო კომპლექსში შედის — ბეთლემის ეკლესია, რომელიც მაცხოვრის შობის სახელობისაა, „ქვაჯვარი“, „ამირანის ნაქოხარი“, „მარიამ წმიდის საბრძანისი“, „ირმების საწველი“, „ბერების აბანო“, მრავალი მღვიმე და გამოქვაბული და საერთოდ „ნაბერალი“, რომლის საერთო ფართობი 2000 კვ მეტრს აღემატება (ბაზილიკურ ეკლესიასთან ერთად აქ 40-მდე სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთებია შემორჩენილი.

მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ მღვდელი იოსებ მოხევე (სუჯაშვილი) შერაცხილ იქნა წმინდანად. წმიდა იოსებ მოხევის ხსენების დღედ 20 ოქტომბერი განაწესეს. დაიწერა მისი ხატი წარწერით: „ღირსი იოსებ მოხევე საკვირველმოქმედი“.

გადმოცემის მიხედვით იოსებ მოხევეს ჰყოლია შვილი მარკოზი, ისიც მღვდელი იყო და მსახურობდა წმიდა სამების ტაძარში. მარკოზ სუჯაშვილი ერთ კვირას მარხულობდა, უმძრახობდა, რძეში ბანაობდა და ბეთლემში ასე გაწმენდილი აღიოდა.

ბეთლემის სამონასტრო კომპლექსის შექმნის დროიდანვე მყინვარ–წვერი და მისი მიდამოები „წმინდა ადგილად“ გამოცხადდა.

ბეთლემში უკანასკნელი ღვთისმოსავი ადგილობრივი მკვიდრი, მღვდელი მარკოზ იოსების ძე სუჯაშვილი იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ კი (XVIII საუკუნის ბოლოს) ბეთლემში ღვთისმსახურება საერთოდ შეწყდა.

2002 წელს, როდესაც დაარსდა სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქია, ბეთლემის გამოქვაბულში კვლავ აღსდგა ღვთისმსახურება.

ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივიდან

თბილისში, სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში, 3 თებერვალს, ახალგაზრდა მოხევე პოეტების მონაწილეობით, ჩატარდა პოეზიის საღამო სახელწოდებით „ძახილი მთიდან“.

საღამოს ესწრებოდნენ: სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოსი მეუფე იეგუდიელი, აჩხოტის წმ. ნიკოლოზის ტაძრის წინამძღვარი, იღუმენი ანდრია, სიონის ღვთისმშობლის ტაძრის იღუმენი პავლე.

საღამო მიჰყავდა გიმნაზიის XI კლასის მოსწავლეს თამარ ოდიშვილს და გელა ელოშვილს.

ეს იყო თბილი გარემოთი და სიყვარულით შეზავებული მოხევე ახალგაზრდობის ღამაზი შეხვედრა.

ახალგაზრდა პოეტიები: თამარ ქუქიშვილი, დალი ფირანიშვილი, ციური ფიცხელაური, სალომე ჩაბაკაური, გიორგი ფიცხელაური, გიორგი გელაძე, რომან ქუშაშვილი, ბექა ოჩიაური, ლევან ხუციშვილი, ხატია გელაძე, გიგლა ნარიმანიძე, ბათო ავსაჯანიშვილი, გივი ხუციშვილი, ნიკა ბუჩუკური და მარიამ მარსაგიშვილი, დიდი გრძნობით კითხულობდნენ თავიანთ ლექსებს.

საოცარი სიყვარულითა და სითბოთი იყო გაჯერებული გარემო. მოხევე მელექსეები და მაყურებელი აუდიტორია თითქმის ერთმანეთს შეერწყა. იყო ჩვენი მიწის მოფერება და ის, თამარ ქუქიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, იყო პატარა ხევის გულის ფეთქვისათვის ყურის დაგდება.

ახალგაზრდები საქართველოს — ხევს უმღეროდნენ თავისი ლექსებით.

ჩვენი გაზეთის საშუალებით ყველა ნომერში შემოგთავაზებთ მოხევე პოეტების ლექსებს.

დღეს კი იბეჭდება გიმნაზიის კურსდამთავრებულის ლევან ხუციშვილის ლექსები.

***

წავალ და გადვიკარგები
მთაჩი დავიდებ ბინასა,
გადმოვცქერ დაბლა ხევებსა
მაღლა კლდეებსა ტიალსა,
გერგეტის წმინდა სამებას
ნაგებსა წინაპრისასა,
ქოხს ჩავდგამ კლდეჩი პატარას
ქუჩით დავფარავ მიწასა.
დილით მზე ჩამაანათებს
გავხედავ ბალახს ცვრიანსა,
მამრე თოფს წამოვიკიდებ
ავყვები ჩორახს მზიანსა.
ქარაფის თავზე შევხდები
გავიგებ თერგის ღრიალსა,
გავხედავ ხარებს დავითვლი
დაბლა ჩავყვები ფხიასა,
მაღლიდან ხარი გადმამცქერს
კლდეებს ამშვენებს მზიანსა
მეც ვესვრი თოფსა წყეულსა
კლდენი ბანს მისცემს გრიალსა.
დაიჭრა, ცრემლი გადმასდის
კლდეებს ევლება ფიქალსა
მემრე მეორეც ვესროლე
ეწია ბედის წერასა,
წერა მეც მიხმობს მოვკვდები
ღედაი მიტირებს ტიალსა.

***

ქალავ, ამ გულის მახეო,
მე მომლოცველად განახეო,
იწვოდა წმინდა სანთლები
გინათდებოდა სახეო.
მეც ვიდექ იქვე მახლობლად,
შორიდან დაგინახეო,
მოვე და გვერდით დაგიდექ,
ასე რამდენჯერ განახეო.
მივხვდი, თუ როგორ მიყვარდი,
სულ მიბრწყინავდა სახეო,
დამტანჯეს შენზე ფიქრებმა,
მოვე და დაგინახეო.
შენც მიღიმოდი, მიცქერდი,
შენც გიბრწყინავდა სახეო.
ქალავ, ამ გულის ნაწილო,
ასე ხიზარში განახეო.

ციური ფიცხელაური

პირველი სკოლა ხევში

მე-19 საუკუნის 70-იანი წლებისათვის ხევში თანდათან იღვიძებდა სწავლის სურვილი. ამ საქმეს დიდად უწყობდნენ ხელს ხევში იმდრინდელი მოწინავე ადამიანები. 1867 წლის 6 დეკემბერს გაზეთ „დროების“ ფურცლებზე გვხვდება საყურადღებო წერილი: „სოფელ სტეფანწმინდას, როგორც შევიტყვეთ, შკოლა გაუმართავთ, ასწავლის დიაკვანი და აგრეთვე ერთი თავადის ნასწავლი ქალი წერა-კითხვასა. ვერ გაგვიბედნია ამ ქალის გვარის გამოცხადება, რადგანაც იქნება არც ჰსურდეს. ამგვარნი პატიოსანი ქალები ყოვლის პატივისცემის ღირსნი არიან საზოგადოებისაგან. მაშ ყოფილან ჩვენშიაც ნასწავლი ქალები, რომ სწავლას ფუჭად არ სცვლიან ჩაცმა-დახურვაზედ. ამისთანა ქალები მშვიდად მოდვაწეობენ ჩვენი მოძმე გლეხებისთვისა“. გაზეთ „დროების“ მასალებიდან ვგებულობთ, რომ მე-19 საუკუნის 80-იან წლებისათვის არსებობდა სამი სამამასახლისო: სტეფანწმინდის საზოგადოებაშიც ექვსი სოფელი. ამ სამ სამამასახლისოს ოცდაერთ სოფელში ითვლებოდა ათასხუთასი მოსახლე. „ესენი თითქმის ისე რჩებიან, რომ სრულებით არ იციან წერა-კითხვა, — წერს გაზეთი „დროება“, მხოლოდ სტეფანწმინდის საზოგადოებაში იპოება ორმოციოდე, რომ იცოდეს წერა-კითხვა. აი, ამ ორმოციოდე კაცს წერა-კითხვა შეასწავლა სტეფანწმინდის მიქაელ მთავარ-ანგელოზის მთავარმა დიაკონმა ნიკოლოზ ციბაძემ. ამ პატიოსანმა პირმა შესანიშნავი ზრუნვით მოიზიდა აქაური გლეხობის შვილები და შეძლებისდაგვარად ცდილობდა იმათ აღზრდას („დროება“. 1850 წ.).

1881 წელს სოფ. სტეფანწმინდის მოსახლეობას მიუღია გადაწყვეტილება სკოლის გახსნის შესახებ, მაგრამ შესაბამისი ზემდგომი ორგანოები რატომღაც აგვიანებენ სტეფანწმინდელთა გადაწყვეტილების დამტკიცებას — „სტეფანწმინდის საზოგადოებამ ძლივს მოიყარა თავი, ძლივს გადაწყვიტა სკოლის გამართვა, ძლივს იკისრა საჭირო ფულის ხდა და როდესაც ეს ყველაზე ძნელი ადგილები გაიარა სკოლის გამართვამ, ერთბაშად ჩვენგან გაუგებელმა მიზეზებმა დააბრკოლა მისი გახსნა და სწავლის დაწყება.

სტეფანწმინდის სკოლის გახსნას მარტო ის შედეგი კი არ აქვს, რომ ამით პატარა მოზარდებს სწავლას მისცემს, არამედ კიდევ იმ სარგებლობას მოუტანს, რომ იმის ბაძვით სხვა სოფლებშიაც გაიმართება სკოლები, რადგან მათში სტეფანწმინდა თაობს და ძველთაგანვე მაგალითად არის გამხდარი ხევის დანარჩენი სოფლებისათვის“ („დროება“. 1882 წ.).

ძალზე დიდი წვლილი მიუძღვის ხევში პირველი სკოლის გახსნის საქმეში ანდრია კობაიძეს. მისი სტატიები, რომლებიც მე-19 საუკუნის ქართულ პრესაში ქვეყნდებოდა, გამსჭვალულია ხევის მოსახლეობის სიყვარულით, იმ მაღალი პატრიოტიზმით, რომელსაც მამულიშვილობა ჰქვია...

გაზეთი „ივერია“ 1888 წელს სათაურით „სკოლა მოხევეებში“ წერდა, რომ პირველი თაოსნობა ხევში სკოლის გამართვაზე სტეფანწმინდას ეკუთვნის, რადგან ეს სოფელი თერგის ხევის ყველა სოფლებზე მოზრდილია (120 კომლი). პრაქტიკული ნაბიჯი სტეფანწმინდაში ბავშვებისათვის წერა-კითხვის შესწავლის საქმეში პავლე ღუდუშაურს ეკუთვნის. იგი იმ დროს ითვლებოდა წიგნის კარგ მცოდნედ და სოფლის ერთგულ კაცად. პავლე ღუდუშაურმა რამდენიმე ყმაწვილი შეკრიბა და თვით დაუწყო სწავლება. სოფელ სტეფანწმინდის გულშემატკივარ პავლე ღუდუშაურს მეტი სიმხნევე შემატა 1881 წელში აქაური მემამულის, გიორგი ყაზბეგის იმხანად სტეფანწმინდაში ყოფნამ. გ. ყაზბეგმა სოფლელებს ურჩია სკოლის გახსნა. შედგენილი იქნა განაჩენი, თვით სტეფანწმინდელები კისრულობდნენ სკოლის ხარჯებს. „სახელმწიფო ხარჯთან შევიტანთ ყოველ წელს სასკოლო ფულს და წერა-კითხვის საზოგადოებას მივაბარებთ სკოლის გაძღოლასო“.

პირველი ხელის მომწერთა შორის, რომელთაც ითავეს სოფ. სტეფანწმინდაში სკოლის გახსნა, იყო ლეგა ფიცხელაური (თუ არ ვცდებით, ეს ლეგა უნდა იყოს ის პიროვნება, რომელიც მიჩნეულია ალ. ყაზბეგის მთხრობელად). აი რა პატრიოტული სიტყვებით მიუმართავს ლეგა ფიცხელაურს თავისი თანასოფლელებისათვის: „მოვაწეროთ, მოვაწეროთ ხელი, სოფლობა არ წაგვიხდეს. მე უშვილო ვარ, მაგრამ სათემო საქმეში ცოცხლის თავით არ მინდა გამოვაკლდე. დიაღაც ვიკისრებ, პირველად მე მომაწერინეთ, თქვენი კვნესამე“. ასეთ პატრიოტ ადამიანზე აქვს ჩვენს წინაპრებს ნათქვამი: „გაგვიძეღ ბერო მინდიავ მუხლი მაიმბი მგლისაო, გაიყოლიე უმცროსნი, ვისაც თავი აქვს ცდისაო“.

მაგრამ საქმეს საშველი მაინც არ დაადგა. სტეფანწმინდაში გამოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც ხელი შეუშალეს ამ კეთილ საქმეს.

პეტრე უმიკაშვილის ზემოხსენებული სტატიიდან ვგებულობთ, რომ ხევში 1888 წელს სკოლა არ იყო გახსნილი. „წერა-კითხვის საზოგადოებამ, — წერს პეტრე უმიკაშვილი 1888 წელს გაზეთ „ივერიაში“ — თავისი საქმე ჰქმნა რაც შეეძლო. სანამ პავლე ღუდუშაური ყმაწვილებს ასწავლიდა სასწავლებელი წიგნებს უგზავნიდა, მერე სოფლის განაჩენი წარადგინა, როგორც ვთქვით მაზრის უფროსთან. საქმე ეხლა მიმდგარა იმაზე, რომ სოფელმა მაზრის უფროსს თავისი წინანდელი განაჩენი დაამტკიცებინოს. სოფლის გულშემატკივართა მეცადინეობა ტყუილად არ ჩაივლის. ხევში, მოხევეებში სტეფანწმინდა თავი სოფელია და საშვილიშვილო საქმეში, სწავლის საქმეში რომ სახელი გაიტეხოს, რაღა სოფლობა ითქმის“. აკი სტეფანწმინდელებზე იყო ნათქვამი:

„ამბობენ სტეფანწმინდასა სოფელი არის გზისაო,
მაგათ უჭირავთ სიმაგრე ყუროიით და ხდისაო.
გამოვლენ ახალგაზრდები, ანგელოზია ხდისაო,
ორპირად უსხდის ერობა მადლი ტრიალებს ღვთისაო. ან კიდევ:
ერთის თქმა მერე გადათქმა ვაუკაც არ შვენის ისაო“.

მიუხედავად გლეხობის მძიმე ეკონომიური პირობებისა, მოხევე გლეხობა შეძლების ფარგლებში ეძებს გამოსავალს, რათა თავიანთ შვილებს განათლება მიაღებინოს და აი, გამოჩნდა ასეთი შესაძლებლობაც. 1888 წელს კავკავში (ძაუგში) გაიხსნა ქართული სკოლა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით. „ეს სკოლა დაარსდა გიორგობის დღეს, 1888 წელს, ნოემბრის 10-ს და დაარსებისთანავე სწავლა დაიწყო 29 მოსწავლით. ამჟამად სკოლაში სწავლობს 49 მოსწავლე, აქედან 29 ბავშვი მოხევენი არიან“. როგორც სათანადო მასალებიდან ირკვევა, კავკავის ორკლასიან ქართულ სკოლაში მოხევე ბავშვები შესანიშნავად თურმე სწავლობდნენ.

ხევში სკოლების გახსნის ინიციატორები ა. კობაიძე, გ. ბედოშვილი და ი. ღუდუშაური მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ სამრევლო სკოლების გახსნას კობსა, სტეფანწმინდასა და სნოში. გარდა იმ პირებისა, რომლებიც ხევის შვილებად ითვლებოდნენ და იბრძოდნენ ხევში სკოლის გახსნის შესახებ, პირველ რიგში დასახელებულია თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი. მ. ყიფიანი იმ დროს (1888 წ.) მუშაობდა თერგის ოლქის სამიჯნაო განყოფილების გამგედ. მ. ყიფიანს კარგად ესმოდა ჩვენი გლეხობის იმდროინდელი გაჭირვებული მდგომარეობა და ამიტომ ურჩევდა მათ, რომ სკოლა უშუალოდ ხევში დაეარსებინათ, რადგან კავკავში ხევიდან ბავშვების სწავლა დიდ ხარჯებთან და საერთოდ დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.

მ. ყიფიანი გარდაიცვალა იმ დროს, როცა მისი იშვიათი მზრუნ–ველობის შედეგად უკვე დადებითად გადაწყდა საკითხი პირველი სკოლის დაარსების შესახებ ხევში.

„სულ ორის დღის წინათ, — წერდა ილია ჭავჭავაძე მ. ყი–ფიანის შესახებ — სანამ სიკვდილი სამუდამოდ დაადუმებდა ამ დაუღუმებელს ქვეყნისათვის პატიოსან კაცს, იგი იწერებოდა ტფი–ლისში „სტეფანწმინდაშიც ვახერხებ სკოლის გამართვასო, აქაურ ყმაწვილებისთვის. თქვენს მიერ გამოგზავნილი წიგნები მივიღეთ და დიდად გავახარეთ პატარა მოხევენიო („ივერია“, 1891 წ.).“

სამწუხაროდ, მ. ყიფიანი დიდხანს არ შერჩა ჩვენს ხალხს იმედად და იგი გარდაიცვალა 1891 წლის 2 მარტს, ვლადიკავკავში. ყიფიანის ცხედარი 8 მარტს გამოუტარებიათ სტეფანწმინდას. მთელ ხევს უცია პატივი მ. ყიფიანის ცხედრისათვის. მასალებში ისიც კია მოცემული, რომ შემხვედრთ შორის ასამდე მოხუცი ყოფილა. პანაშვიდი მღვდელ მალანიას გადაუხდია. პავლე ღუდუშაურს წარმოუთქმია სიტყვა, რომელიც ასე მთავრდებოდა „კერძოდ ჩვენთვის (მოხევეებისთვის) იმისთანა ქართველი აღარ დაიბადებაო“. ანდრია კობაიძე კი თავის წერილს ყიფიანის შესახებ ასე ამთავრებს: „ვის არ უნდა შესტკიოდეს გული ამგვარი მხნე და კეთილი მოღვაწე კაცის დაკარგვის გამო? ანუ ვისდა უნდა მიმართოს ჩვენმა უბედურმა ახალთაობამ სწავლა-განათლების გზის მაჩვენებლად. 700 კილომეტრ ქართველს, „მოხევე“ ერს დღემდე სასწავლებელი არ ჰღირსებია და დღეს ვინც მოისურვა აქ სკოლა, ისიც ჩვენდა სამწუხაროდ აღრე წაგვართვა სიკვდილმა“.

მ. ყიფიანის დაკარგვა უდიდეს დაღად დაესო მოხევე კაცის გულს. ამ დიდი დანაკლისის გამო გაზეთ „ივერიაში“ 1891 წლის 19 მარტს კორესპონდენტი სტეფანწმინდელი წერდა: „ძალიან მიკვირს ჩვენი ხევის უბედობა და მრავალგვარად საქმის დაცარვა. „ობლის კვერი ცხვა და ვერ გამოცხვაო“, სწორედ ჩვენი საქმეც ასეა — მ. ყიფიანის გარდაცვალებამ გარკვეულად შეუშალა ხელი ხევში პირველი სკოლის გახსნის შესახებ დაჩქარებას“.

ხევში ოფიციალური სკოლის გახსნამდე გიორგი ყაზბეგმა სოფელს ორკლასიანი სასწავლებლისათვის უფასოდ დაუთმო თავისი სახლები და სწავლებითაც თვითონ, თავისი ხარჯებით ასწავლიდა ბავშვებს, თავისივე ხარჯებით უზიდავდა შეშას ბალთიდან გასათბობად, მაგრამ გაზაფხულდა თუ არა, მშობლებმა მოსწავლეები სკოლიდან გაიყვანეს სამუშაოდ.

მაგრამ ხალხში უკვე გაიღვიძა სწავლის სიყვარულმა, მისი შეჩერება აღიარავის და აღარაფერს შეეძლო. ახლა თვით ხალხმა აიღო ხელში ინიციატივა და დაიწყო სკოლის გახსნისათვის საჭირო სახსრების შეგროვება. დავასახელებთ მხოლოდ მცირე ნაწილს, რომელთაც თავს იდეს ეს საქმე და სტეფანწმინდის სკოლის სასარგებლოდ, რომელიც „წერა-კითხვის საზოგადოების“ სახელით უნდა დაარსებულიყო, თავიანთი დანაზოგი სახსრები შესწირეს. აი ისინიც: ძოსე გიგაური 1 მან. ანდრია ხაჩიშვილი 50 კაპ. ნიკო ზაგაშვილი 50 კაპ. ბიჭიკო დავითაშვილი 20 კაპ. ნიკო ქუშაშვილი 1 მან. და ა. შ. თვალში საცემია ერთი რამ: პიროვნებანი, რომელთაც შესაწირი შეჰქონდათ, მარტო სტეფანწმინდელები კი არ იყვნენ, არამედ ამ საქმეში მონაწილეობას ღებულობდნენ რაიონის თითქმის ყველა სოფლიდან სწავლას მოწყურებული მოხევეები. პირველ რიგში აღსანიშნავია ამ საქმეში გერგეტის, სიონის, ცდოს, გველეთის მოსახლეობის აქტივისტები.

და აი, დადგა ჩვენი ხევის მოსახლეობისათვის სანატრელი დღეც. 1892 წლის 22 ოქტომბერს სოფ. სტეფანწმინდაში აკურთხეს სოფლის სკოლა. ერთკლასიანი სკოლის პირველ მასწავლებლად დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული ნ. კახისშვილი.

კობაიძის წერილში ვკითხულობთ: „სკოლის დაარსებით დღეს ადგილობრივ ეკლესიაში მწირველი იყო ერმონახი — მ. ლეონიდი, ხოლო თანამწრეველები კობის ბლაღოჩინი — მ. ნახარიძე, სიონის მღვდელი ზ. კობაიძე და ადგილობრივი მღვდელი (სოფ. სტეფანწმინდის) ა. ბარნაბაშვილი. წირვას ძალზე ბევრი ხალხი დასწრებია. წირვის შემდეგ მ. ლეონიდი ხალხს სკოლის შენობისკენ გასძღოლია, სადაც გადაუხდია პარაკლისი და ბავშვებისათვის დაურიგებია ყელზე სატარებელი ჯვრები.

მ. ლეონიდს უქადაგებია ხალხისათვის, რომ „სწავლით შეიძლება მოპოვება კაი კაცობისა და მოქალაქეობისა. სწავლითვე შეიყვარებს და შეითვისებს სჯულსა და მამულსა. სწავლითვე სცემს პატივს კაცი მშობლებსა და ნათესავებსა“. ხალხს ძალზე მოსწონებია ლეონიდის სიტყვები. წირვას და ქადაგებას ერთი სრულიად უსინათლო კაცი ს. გიგაური დასწრებია. მას ლეონიდის ქადაგებისას ასეთი სიტყვები წარმოუთქვამს: „ნეტავი როგორც ბერ-მონაზონის სიტყვებმა სმენით დამატკბო, ისე მაგის სახის ხილვაც შემეძლოს და მე თუნდაც მოვმკვდარიყავი“.

1892 წლის 22 ოქტომბერი ხევისათვის სადღესასწაულო დღედ გადაიქცა. ხალხს აუხდა დიდი ხნის ოცნება. ქადაგების შემდეგ, როგორც ა. კობაიძე წერს, ხალხის თხოვნით ლეონიდმა კრებულითურთ ეკლესიაში გადაიხადა პანაშვიდი მიხეილ ზაალის ძე ყიფიანის სულის მოსახსენებლად. ხალხი არასოდეს დაივიწყებს იმას, ვისაც ხალხისათვის კარგი უკეთებია. ჩვენი ხალხისათვის მ. ყიფიანი დაუვიწყარი იყო და ხალხმაც თავისი წილი ადამიანური ვალი მოიხადა სახელოვანი მამულიშვილის წინაშე.

ხევში სკოლის გახსნის საქმეში დიდი დამსახურება აქვთ თვით ხევიდან გამოსულ ისეთ სახელოვან ადამიანებს, როგორებიც იყვნენ ანდრია მამუკას ძე კობაიძე, იაგორ ღუდუშაური, გიორგი ყაზბეგი, დიმიტრი ყაზბეგი და სხვანი.

ყაზბეგის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საარქივო მასალების მიხედვით მოამზადა მანონი გომიაშვილმა

ყველაზე ჭკვიანი

გიმნაზიის მოსწავლეებს შორის ჩატარდა კონკურსი „ყველაზე ჭკვიანი“-ს გამოსავლენად VI-VII კლასების მონაწილეობით. I ადგილზე გავიდა დავით ოდიშვილი, II ადგილზე — გიორგი ბუჩუკური, III ადგილი დაიმსახურა სოფო ღუდუშაურმა. გამარჯვებულებს სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოსმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

შეჯიბრი კალიგრაფიაში

გაზეთის წინა ნომერში გიყვებოდით, რომ გიმნაზიაში ჩატარდა შეჯიბრი კალიგრაფიაში. გვინდა ეს თემა ამ ნომერში განვავრცოთ, კერძოდ, შეჯიბრში საუკეთესოები იყვნენ: ლუკა მაისურაძე, მარიამ სუჯაშვილი, ნუცა ყოჩიაშვილი, ნათია სამქანაშვილი, ნინო ქუშაშვილი, ლალი ბურდული, ნიკა ქუშაშვილი და გია ჩოჩიშვილი, რისთვისაც მადლობას ვუხდით მათ მასწავლებლებს დაწყებით კლასებში: ეკა სამქანაშვილს, ხათუნა ქავთარაშვილს, ნანა ჩაბაკაურს და ნონა არაბულს.

პატრიარქის მოხევე ნათლულები ჩვენი მომავალი

გიორგი ფიცხელაური

ლადო წიკლაური

შეჯიბრი ფრენბურთში

სტეფანწმინდისა და ხევის მღვდელმთავრის მთავარეპისკოპოს იეგუდიელის ძალისხმევით სტეფანწმინდის წმიდა ილია მართლის სახ-ელობის გიმნაზია-პანსიონში აშენდა ევროპული სტანდარტების სპორ-ტული დარბაზი.

გიმნაზიის მესვეურებისა და ფიზკულტურის მასწავლებლის ირმა ბელაშვილის ძალისხმევით მოსწავლე-ახალგაზრდობამ კარგად აითვისა სპორტული კომპლექსი და რეგულარულად ტარდება შეჯიბრებები. მიმ-დინარე თვეში შეჯიბრი ჩატარდა ფრენბურთში. IX-X კლასებს შორის გამართულ შეჯიბრში გაიმარჯვა IX კლასმა. XI-XII კლასებს შორის კი — XII კლასმა. გამარჯვებულ IX და XII კლასებს შორის ფინალში გავიდა XII კლასი. მეუფე იეგუდიელმა გამარჯვებულ XII კლასს გა-დასცა თასი.

მხიარული სტარტები იგეგმება V-VIII კლასის მოსწავლეებს შორის.

რედაქტორი მანონი გომიაშვილი	სარედაქციო კოლეგია: არქიმანდრიტი ნიკოლოზ ღლონტი, ციცინო ღუდუშაური, ნინო თურქიაშვილი, თამარ ოდიშვილი.	მის. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია-პანსიონი